საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ტ. კ. /სიითი №/; ადვოკატი მ. ც. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.02.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 017/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ლ.-ს /სიითი №/ და ადვოკატ ს. კ.-ს სიითი /№/ მიმართ;

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ლ.-სთვის და ადვოკატ ს. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2023 წლის 20 თებერვალს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ადვოკატებმა ტ. კ.-მ და მ. ც.-მ და მოითხოვეს ადვოკატ გ. ლ.-სა და ადვოკატ ს. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა პოზიციით, 2023 წლის 9 იანვარის საღამოს 18:00 სააათიდან 19:00 საათამდე დროის მონაკვეთში მათი კლიენტი - დ. კ. მივიდა თავის საკუთრებაში არსებულ ბინაში მდებარე ქ. თბილისში, სადაც მისი ბინის დამქირავებელი, ნ. ქ. ცხოვრობდა დროებით. ბინის მესაკუთრესა და დამქირავებელ ნ. ქ. -ს შორის დადებული იყო ზეპირსიტყვიერი გარიგება, რომლის თანახმად, ნ. ქ. აღნიშნულ ბინაში 2023 წლის მაისის თვემდე იქნებოდა. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ მესაკუთრე დ. კ. წინასწარ გააფრთხილებდა დამქირავებელს ნ. ქ.-ს, როდესაც მას დასჭირდებოდა

ბინაში გადმოსვლა, დამქირავებელი კი სხვა ბინას მოძებნიდა და გადავიდოდა საცხოვრებლად. 2022 წლის 10 ნოემბერს დ. კ. მივიდა ნ. ქ. -სთან და გააფრთხილა, რომ გაეთავისუფლებინა ბინა 1 თვის ვადაში. გონივრული დროის მიცემის მიუხედავად, ნ. ქ.-მ ბინა არ გაათავისუფლა. ნ. ქ.-ს ბინა არც 10 დეკემბერს ჰქონდა დაცლილი, რის შემდეგ დ. კ.-მ მას კიდევ ერთი თვე მისცა ბინის გასათავისუფლებლად. ამის შემდეგ, დ. კ.-მ გაარკვია, რომ ნ. ქ.-ს არაფერი გაუკეთებია სხვა ბინის მოსაძებნად და ორი საძინებელი ოთახიდან ერთი ბინის მესაკუთრესთან შეუთანხმებლად უცხო ქალბატონისათვის გადაუცია.

1.3 2013 წლის 9 იანვარს, ვინაიდან დ. კ.-ს ცოლს და სამ მცირეწლოვან შვილს ღამის გასათევი ადგილი არსად ჰქონდათ, ისინი იძულებული გახდნენ დარჩენილიყვნენ სადავო ბინაში. მხარეები ადგილზე შეთანხმდნენ, რომ დ. კ. -ს ცოლ-შვილი დაიძინებდა სასტუმრო ოთახში, ხოლო ნ. ქ. -ს მეორე დღიდან უნდა დაეწყო სხვა ბინის მოძებნა. აღნიშნულს არ დაეთანხმნენ ნ. ქ. -ს ადვოკატები გ. ლ. და ს. კ., რომლებიც სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით ემუქრებოდნენ დ. კ. -ს, რომ მის მიმართ გაატარებდნენ შესაბამის ზომებს, თუკი თავის ცოლ-შვილთან ერთად მალე არ დატოვებდა ბინას.

1.4 ამავე დღეს, სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნ. ქ.-ს საცხოვრებელ სახლში მივიდნენ მისი ადვოკატები ს. კ. და გ. ლ.. გ. ლ.-მ დაიწყო ხმამაღალი ტონით ყვირილი და ჩხუბი. მან დ. კ.-ს დასდო ბრალი ნ. ქ.-ს მიმართ განხორციელებულ მუქარაში. შემდეგ კი გ. ლ. -მ კოლეგას, ტ. კ.-ს დაუწყო ხმამაღალი ტონით საუბარი, ჩხუბი და ყვირილით მიმართა შეურაცმყოფელი სიტყვებით: „შენი ბრალია, შენ წააქეზე დ. კ. და შენ ხარ დამნაშავე“. ადვოკატმა ს. კ. -მ არ შეაჩერა კოლეგა. ადვოკატმა ტ. კ.-მ კოლეგას სიმშვიდისაკენ მოუწოდა, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. გ. ლ. ხმამაღლა ყვირილით შლიდა ხელებს და კვლავ ცდილობდა თავის გამოჩენას და მიაჩნდა, რომ რაც უფრო ხმამაღლა იყვირებდა, მით უფრო მეტი ეფექტი ექნებოდა მის სიტყვებს. ბოლოს გ. ლ.-სა და ტ. კ.-ს შორის პოლიციის თანამშრომელი ჩადგა. გ. ლ. -ს ჩხუბის გამო შეეშინდათ კლიენტის, ტ. კ. -ს შვილებს. პოლიციის წასვლის შემდეგ, ადვოკატები გ. ლ. და ს. კ. ნ. ქ. -სთან და უცხო ქალბატონთან ერთად ერთ საძინებელ ოთახში გავიდნენ 10 წუთით, სადაც ერთად ითათბირეს და რომ გამოვიდნენ მოაწყეს „სპექტაკლი“ - ტ. კ.-მ დაინახა თუ როგორ დაიწყეს ვიდეოს ჩაწერა ადვოკატებმა წინასწარ მოფიქრებული გეგმით. ადვოკატმა გ. ლ. -მ დაიწყო დამცინავი ლაპარაკი და მათ გამოწვევას ცდილობდა, თუმცა მათ თავი შეიკავეს.

1.5 საჩივრის ავტორთა პოზიციით, ადვოკატმა გ. ლ. -მ უპატივცემულობა გამოხატა და შეურაცყოფა მიაყენა მათ კლიენტისა და სხვა პირების თანდასწრებით; ხოლო ადვოკატმა ს. კ. -მ არ შეაჩერა კოლეგა, რის გამოც აღნიშნულმა ადვოკატებმა დაარღვიეს კოლეგასთან ქცევის სტანდარტი.

2. ადვოკატების განმარტება:

2.1 ადვოკატებმა გ. ლ.-მ და ს. კ.-მ 2023 წლის 24 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითეს, რომ ისინი ნამდვილად ახორციელებდნენ მოქალაქე ნ. ქ.-ს უფლებების დაცვას. მათ კლიენტს ნ. ქ.-სა და დ. კ.-ს შორის არსებობდა ზეპირსიტყვიერი გარიგება, რომლის თანახმადაც, ნ. ქ.-მ დაიქირავა დ. კ.-გან საცხოვრებელი ბინა. მხარეთა შეთანხმებით, ქირავნობის ვადად განისაზღვრა 1 წელი, ანუ ნ. ქ.-ს აღნიშნულ ბინაში უნდა

ეცხოვრა 2023 წლის ივნისის თვემდე. აღსანიშნავია, რომ ნ. ქ. შეთანხმებისამებრ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად იხდიდა ქირას. 2023 წლის იანვრის თვეში, კერძოდ 8 იანვარს დ. კ.-მ დაურეკა ნ. ქ.-ს და სთხოვა ნებართვა, რომ 9 იანვარს ბინა დაეთვალიერებინა. დ. კ.-ს არ განუცხადებია ნ. ქ.-სთვის, რომ ის აპირებდა ბინაში თვითნებურად შეჭრას და დარჩენას. ნ. ქ.-ს დასთანხმდა დ. კ.-ს ბინის დათვალიერებაზე და 2023 წლის 9 იანვარს კარი გაუღო, რა დროსაც ბინაში შეიჭრნენ დ. კ. და მისი თანმხლები პირი, ადვოკატი ტ. კ.. ადვოკატთა განმარტებით, მათი კლიენტი ბინაში ცხოვრობდა არასრულწლოვან შვილთან ერთად, მას შეეშინდა და დარეკა 112-ში. მან ასევე დაურეკა თავის მეგობრებს თ. ლ. -სა და ს. ჩ. -ს. აღნიშნულის შემდგომ იგი ესაუბრა თავის ადვოკატებს გ. ლ.-სა და ს. კ.-ს, რომლებიც შეძლებისდაგვარად დროულად მივიდნენ მის საცხოვრებელ ბინაში.

2.2 ადვოკატების პოზიციით, ბინაში მათ დახვდათ დ. კ. და მისი ადვოკატი ტ. კ., საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, კერძოდ, ორი პატრულ-ინსპექტორი, თ. ლ. და გარკვეული დროის შემდგომ მივიდა ს. ჩ.. ადვოკატებმა განმარტეს, რომ ადგილზე მისვლისას თან ჰქონდათ ადვოკატის ორდერი ნ. ქ.-ს სახელზე შევსებული. მათ შესვლისას თავი წარადგინეს და კოლეგიალურად მიესალმნენ ადვოკატ ტ. კ.-ს. ადვოკატების პოზიციით, ამის შემდეგ ისინი პატრულ-ინსპექტორებს უხსნიდნენ, რომ დ. კ. -ს მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი იყო თვითნებობა და სთხოვეს, მოეხდინათ რეაგირება, აღნიშნულზე გაღიზიანდა დ. კ., რომელმაც დაიწყო ყვირილი. ამავდროულად, ადვოკატმა ტ. კ. -მ მათ მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ბიჯო“, „აფერისტები“ და „პროვოკატორები“. მათ აგრესიას ადვოკატებმა მშვიდად უპასუხეს და უთხრეს, რომ კანონის დარღვევის გამო მათ პოლიციაში უჩივლებდნენ. ვინაიდან დ. კ. და ადვოკატი ტ. კ. აგრძელებდნენ კანონდარღვევას, ადვოკატებმა გ. ლ.-მ და ს. კ.-მ დატოვეს სადავო ბინა და წავიდნენ შსს გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-6 სამმართველოში, სადაც ჩააბარეს განცხადება დ. კ.-სა და ტ. კ.-ს მიერ სავარაუდო უკანონო ქმედების განხორციელების თაობაზე. ასევე ადვოკატები განმარტავენ, რომ სადაო ბინაში ყოფნისას ისინი კონფლიქტში არ შესულან ვინმესთან, ისინი მხოლოდ იცავდნენ თავისი კლიენტის უფლებებს.

2.3 ადვოკატების პოზიციით, მათი მხრიდან არ განხორციელებულა არანაირი მუქარა, ისინი მხოლოდ საპატრულო პოლიციას განუმარტავდნენ, რომ სახეზე იყო მათი კლიენტის უფლებების დარღვევა და სავარაუდოდ სისხლის სამართლის დანაშაული იყო ჩადენილი, რაზეც ითხოვდნენ შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას. კლიენტის დაცვისას მათ შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებიათ.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ლ. /სიითი №/ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სპეციალიზაცია - სისხლი. ადვოკატი ს. კ. /სიითი №/ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ადვოკატებმა ტ. კ.-მ და მ. ც.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2023 წლის 20 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წლის 9 იანვარს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ გ. ლ. -სა და ადვოკატ ს. კ. -ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2023 წლის 2 მარტს საჩივრის ავტორებმა განცხადებით მომართეს ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითეს, რომ მათ მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, ადვოკატ გ. ლ.-სა და ადვოკატ ს. კ.-ს მიმართ არ აქვთ პრეტენზია და სურთ, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

5.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორებმა უარი თქვეს საჩივარზე, ადვოკატ გ. ლ.-სა და ადვოკატ ს. კ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №017/23 ადვოკატ გ. ლ.-ს /სიითი №/ და ადვოკატ ს. კ.-ს /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/